სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

სიცოცხლის დამზღვევი საზოგადოება

„როსსია"

უმაღლესად დამტკიცებული 1881 წელს.

ნაღდი თანხა საზოგადოებისა არის 32.000,000 მან.

საზოგადოების „როსსია"-ს მმართველობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან გააფართოვა წრე თვისის მოქმედებისა, რომელიც დაიწყო 1887 წელს პირველად იმპერიაში სხვა-და-სხვა დაზღვევით უბედურ შემთხვევისაგან და ეხლა საზოგადოების წესდების ძალით, რომელიც დამტკიცებულ იქმნა ამა წლის 31 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, შემოიღო კიდევ

სიკვდილამდე დაზღვევა მგზავრებისა

მთელის ქვეყნის რკინის გზებითა და ევროპის ზღვათა და მდინარეთა გზებით მოგზაურთა.

ასეთს დაზღვევას ძალა აქვს დაზღვეულის კაცის მთელის სიცოცხლის განმავლობაში; დასაზღვევი ფული უნდა გადიხადოს კაცმა მხოლოდ ერთხელ, რაიცა შეადგენს:

რაოდენობა დაზღვევისა:

| რკინის გზებზე | წყალებზე | თანხა თუ ვინიცობაა დაზღვეული კაცი გარდაიცვალა | ერთის წლის პენსია თუ ისე დაშავდა, რომ მუშაობა ვეღარ შესძლო | ერთს დღე-დამეს მიეცემა თუ დროებით ვერ შესძლო შრომა |
|---|---|---|---|---|
| მ. 10 | მ. 15 | მ. 3,000 | მ. 300 | მ. 1— |
| „ 20 | „ 30 | „ 6,000 | „ 600 | „ 2— |
| „ 40 | „ 60 | „ 12,000 | „ 1,200 | „ 4— |
| „ 80 | „ 120 | „ 25,000 | „ 2,500 | „ 8 1/3 |
| „ 160 | „ 240 | „ 50,000 | „ 5,000 | „ 16 2/3 |
| „ 320 | „ 480 | „ 100,000 | „ 10,000 | „ 33 1/3 |

1898 წლის 1-ლ იანვრამდე „როსსია"-ს საზოგადოებაში დაზღვეული იყო უბედურ შემთხვევებისაგან წლიურის პოლისებით 289,314 კაცი 195.610,547 მან.

მიეცათ დაშავებულთ უბედურ შემთხვევებისაგან

**2.125,840** მან.

მსურველთ განცხადება დაზღვევის შესახებ უნდა შემოიტანონ, და იქიდანვე შეუძლიანთ მიიღონ ყოველ-გვარი ცნობანი, საზოგადოების სამმართველოში ქ. პეტერბურგს (ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი, № 37), საზოგადოების განყოფილებაში, ტფილისში (სერგიევის ქ. სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქებში.

Заявленія о страхованіи принимаются и всякаго рода свѣдѣнія сообщаются въ Правленіи Общества въ Петербургѣ (Большая Морская, собс. домъ, № 37), въ Отдѣленіи Общества въ г. **Тифлисѣ** (Сергіевская улица д. № 6) и агентами Общества во всѣхъ городахъ имперіи. (2—2)



მალე აქედან გამგზავრების გამო

იაფად იყიდება მოლაპარაკე თუთიყუშები

იქვე ყიდულობენ

კავკასიის ნადირებს ცხოველად:

ირმებს, ჯეირანებს, შურთხებს, ჯიხვებს, გარეულ თხებს და სხვა გარეულ ცხოველთა.

მსურველნი მიჰმართავენ: მიხეილის ქუჩა, № 106, ბარამოვის სახლებში.

(12—4) ჰუგო ჰინკლერი

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა ოთხშაბათს, 16 სექტემბერს.

ექიმი თუმანოვი

ღებულობს ავადმყოფებს ქალების სატკივრით ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

მადერის ქ. № 16, სახ. ვარლამოვისა

**Д-ръ Тумановъ**

Куки, Мадеровсакя ул. № 16.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სტუდენტად ყოფილი

ემებს გაკვეთილებს

ადრესი: „ცნ. ფურცლის" რედაქცია. (10—2)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ჩ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** ბ. იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია. ბ-ნი ზაქარია ჭიჭინაძე, ჩვეულებრივ, განაგრძობს ქართველი მკითხველები გააცნოს ჩვენი ქვეყნის მოღვაწეთა ცხოვრებას. ახლა დასაბეჭდად დამზადებული აქვს ბიოგრაფია ჩვენის ცნობილის პედაგოგის ბ-ნის იაკობ გოგებაშვილისა. საკუთრად ბ. გოგებაშვილის ცხოვრების აღწერის გარდა, ამ წიგნში მოთავსებულია მოკლე ისტორია საპედაგოგიო ლიტერატურისა (საკუთრივ ანბანის შემოღება და სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვა) როგორც საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ისე ამ საუკუნეში ვიდრე სამოციან წლებამდე. ჩამოთვლილია სახელმძღვანელო წიგნები, ხმარებულნი ჩვენის მეფეების დროს, აღწერილია წესი შეგირდების გამოცდისა, ჩამონუსხულია სახელმძღვანელონი, აღბეჭდილნი ტფილისს, რომს, რუსეთში (ქ. კრემენჩუგში გაიოზ რექტორის მიერ).

*** † პროფ. ანდრ. ე. არწრუნი. საზღვარ-გარეთ გარდაიცვალა ახენის პოლიტეხნიკუმის პროფესორი ანდრ. ერემ. არწრუნი. განსვენებული იყო აგრეთვე გაზ. „მშაკის" გამომცემელი.

*** ახალი დანიშნულება. ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს მდივანი ტელეჟინსკი დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო გამგეობის „სოვეტნიკის" თანამდებობის აღმასრულებლად.

*** ახალი დანიშნულება. წმინდა ნინოს სასწავლებლის სამეურნეო ნაწილის მმართველად, კრუზენშტერნის ნაცვლად, დანიშნულია პოდპოლკ. მარკსი, რომელიც ამ

დღეებში შეუდგება თავისი თანამდებობის ასრულებას.

⁂ **თავშესაფარი, სკოლა და სამკურნალო ბრმა ბავშვებისათვის.** იმპერატრიცა მარიამის ბრმათათვის მზრუნველ კომიტეტს უკვე შეუდგენია გეგმა და ტეხნიკური ხარჯთ-აღრიცხვა ავლაბარში ბრმა ბავშვთათვის თავშესაფარისა, სკოლისა და სამკურნალოს შენობის ასაგებად.

⁂ **საფრანგეთის ელჩი ტფილისში.** საფრანგეთის გენერალურ ელჩად ტფილისში დანიშნულია ბოსერონ დანგლანდი.

⁂ **გენ.-ლ. ა. ი. პანტელეევი,** კამანდირი ჟანდარმთა კორპუსისა, გამოემგზავრა პეტერბურგიდან კავკასიაში.

⁂ **ქალების კრივი.** 9 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, სოლოლაკის ქუჩაზე, სამ ქალს, ს—ცკისას, ს—ნისას და მ—ვისას ჩხუბი მოსვლიათ. ს—ნისა და მ—ვისა წაეკიდნენ ს—ცკისას, მივარდნენ და დაუწყეს მას ცემა მუშტით და ქოლგებით. გამვლელებმა და ქუჩის დარაჯებმა ძლივს დააშოშმინეს მოკრივე ქალები, მაგრამ როგორც კი ისინი გონს მოვიდნენ, კიდევ ეცნენ ერთმანეთს და ასტეხეს ცემა-ტყეპა. ეს ცემა-ტყეპა შესწყდა მხოლოდ მაშინ, როცა მაჩხუბრები პოლიციაში წააბრძანეს, სადაც მათ მშვიდობიანობის დარღვევის გამო ოქმი შეუყენეს.

⁂ **ქურდობა.** ამ დღეებში „ძველი ტფილისის“ სასტუმროში მოხდა შემდეგი ქურდობა. მ. შელია შევიდა ლაქია მეთოდე მახალიანის ოთახში და სთხოვა მას, გამიგე გავიდა თუ არა სასტუმროდან მე-7 №-ის მდგმურიო. მეხალდიანმა მიუგო, გავიდაო, და გამოვარდა ეზოში, რადგან მას სასტუმროს ერთმა მდგმურთაგანმა დაუძახა. როცა რამდენიმე წუთის შემდეგ იგი თავის ოჯახში დაბრუნდა, მას აღარ დახვდა აქ შელია და შენიშნა, რომ მისი სკივრი გაეტეხათ და ყველა ნივთები შიგ აენგრიათ. ლაქიამ გაჩხრიკა სკივრი და დაინახა, რომ მისთვის 250 მან. მოუტაცნიათ, რომლიდანაც 170 მან. მას ბიძაზე გადასაცემათ მიეღო. მეხალდიანმა ეს ამბავი პილიციას განუცხადა, მაგრამ ქურდი ჯერ ვერსად აღმოუჩენიათ.

⁂ **უბნის ზედამხედველის სიმარჯვე.** კოლეჟსკი სეკრეტარმა ალ. პავლ. შკურინმა, რომელიც რტიშჩევის ქუჩაზე, ფითოევის სახლში სცხოვრობს, 11 სექტემბერს პოლიციის მეოთხე განყოფილებაში განაცხადა—სახლიდან 30 მანეთი მომპარესო. ეჭვი აიღეს მისსავე მოსამსახურეზე, სოფ. კოტორაულის, დუშეთის მაზრის მცხოვრებ ვლად. გოლოშვილზე. საქმის გამოძიება მიანდეს უბნის ზედამხედველს ივ. საყვარელიძეს, რომელმაც იმავე დღეს აღმოაჩინა ხსენებულ ვოლოშვილის მიერ მოპარული 30 მან., რომელიც ქურდს სახლის ასავალ კარებთან შპალერის ქვეშ დაუმალავს. ქურდი, რა თქმა უნდა, მაშინვე შეიპყრეს და საქმე გამომძიებელს გადასცეს.

იმავე უბნის ზედამხედველმა ბ. საყვარელიძემ ამას წინად ვერაზე ქურდებისაგან მიწაში ჩამარხული იპოვა 5,000 მან., რომელიც კასიდან ამოაცალეს ბოროტ-გამზრახველთ ტფილისის ვაჭარს კარაკოზოვს.

იმ ხანებშივე აღმოაჩინა 300 მ. ბოთლში ჩადებული და მიწაში ჩამარხული ქურდისაგან. ეს ფული ეკუთვნოდა ტფილისის მოქალაქეს ზურაბოვს.

⁂ **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ მეხუთე გამოცემა „Русское Слово“-ს მეორე ნაწილისა. ეს გამოცემა შეკრებილია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და იგავ-არაკებით, რომლებიც მხოლოდ ამოღებულია უწმიდესის სინოდისაგან მოწონებული რუსულ სახელმძღვანელოებიდან. წიგნი წინანდელზე გადიდებულია, ორი ფორმით ანუ ოცდა-თორმეტი გვერდით. ფასი კი იგივეა დარჩენილი ე. ი. ათი შაური ყდით.

⁂ **ელექტრონის სანიშნებელი რკინის გზებზე.** გზათა სამინისტროში, რკინის გზებზე მატარებელთა მიმოსვლის მოსაწეს-რიგებლად, ამ ჟამად აღძრულია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ყველგან რუსეთის იმპერიის რკინის გზებზე შემოღებულ იქმნეს უმაღლესად გაუმჯობესებულ სისტემის ელექტრონის სანიშნებელი.

⁂ **წყაროს უბანი.** არა გვგონია, რომ ტფილისის სხვა კუთხეშიაც იყოს სადმე ისეთი გარყვნილი ახალგაზდობა, როგორიც ამ უბანში. შეიყრებიან ერთად თოთხმეტ-ხუთმეტი წლის უსაქმოდ მოხეტიალე ბიჭ-ბუჭები და დღე და ღამ მცხოვრებთ მოსვენებას არ აძლევენ... ეს ვაჟბატონები ლოთობაში და ყომარ-ბაზობაში ატარებენ დროს სულ ერთავად. დაითრობიან და ვინ უწყის უაებს არ სჩადიან. ამ მოკლე ხანში სამს ასეთ ვაჟბატონთაგანს ძალზე დაეთროთ ერთმანერთი და თარეშობდნენ ქუჩაზე ერთი ბოთლი არყით ხელში, ყვიროდნენ და გაჰქონდათ ერთი აურ-ზაური. საკვირველია, მშობლები მაინც რატომ არ მიაქცევენ ყურადღებას თავიანთ თავ-გასულ შვილებს და ასე უსაქმურად რისთვის ათარეშებენ. ვისაც შეძლება აქვს, რატომ სასწავლებელში არ გაგზავნიან, ან კიდევ ხელობაზე მაინც რატომ არ მიაბარებენ, რომ საბოლოვოდ მაინც არ გაირყვნენ, ან ულუკმა-პუროდ არ დარჩნენ.

⁂ **აკაკის „კრებული“.** გამოვიდა დაურიგდა ხელის-მომწერთ აკაკის „კრებული“-ს მე-XII №-ი (აგვისტოს წიგნი), შემდეგი შინარსით: I განყოფილება „ნატვრის თვალი“, „მომაკვდავის ჩვენება“ ლექსი, „წერილი თავ. ი. მაჩაბლის გამო“, „მე და ჩემი პენცია“, „უბრალო საუბარი“. მე-II განყ. „მიმკვლევია“ ლექსი, „სტუმრები“ ლექსი, „განთიადი“ ლექსი, „ჭაღარა“ ლექსი, „თემურ-ლენგის ტყვე“ ლექსი, „ახლანდელი სიმღერა“ ლექსი, „შეცდომა“ ლექსი, „ყარიბი“ ლექსი, „ქუთაისი“ ლექსი, „ხალხური“ ლექსი, „მცირე ლოცვა“ ლექსი, „ალბომში“ ლექსი, „გ....ს“ ლექსი, „ავადმყოფი მგოსანი“ ლექსი, „მწუხრი“ ლექსი, „ნეიტრალი“ ლექსი, „ქრისტე ალსდგა“ ლექსი, „მესტვირე რას ამბობს“—ლექსი. „სამი დრო“ ლექსი, „ხატის წინ“ ლექსი, ⁂—ლექსი, „რომ მომარჩინა?“ ლექსი, „მღერალ ქალს“ ლექსი, „პასუხი“ ლექსი, „პანორამა“ ლექსი, „სამძიმარი“ ლექსი, „თვალებო!“ ლექსი, „მახვილი თუ ინდუსტრია?!“ ლექსი. III-მე განყ. „ცივების ლექსი“, ჩაწ. ს. მერკვილაძისაგან, „ხათაგანი და შვათაგანი“, ზღაპარი, ჩაწ. თ. ძველაიასაგან, „ოქროუა“, ზღაპ. ჩაწ. ს. მერკვილაძისაგან, „ხალხური ლექსები“, კახეთში შეკრებილი ზ. ჩხიკვაძისაგან, „ვეზირის მამა“, ზღაპ. ჩაწ. ა. მაჩაბლისაგან, „მედაიერე“, ზღ. ჩაწერილი მერაბიშვილისაგან, „ასთორმეტი წლის მოხუცი“, ჩაწ. ს. მერკვილაძისაგან, „განცხადება“.

წიგნის ბოლოში აკაკი აცხადებს, რომ ამ ნომრის შემდეგ იგი შეაჩერებს „კრებულის“ გამოცემას მომავალი წლის პირველ იანვრამდე, საიდანაც დაიწყება წელიწაიდცაო.

⁂ **ს. შემოქმედი** (გურია). **სამკითხველოს შესახებ.** მეორე წელიწადია, რაც სოფ. შემოქმედში წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში მას აქვს შეძენილი საკუთარი სახლი, აგებული წაბლის ხისაგან და ღირებული ოთხას მანეთად; ხუთასამდე რუსულ-ქართული წიგნი, სურათი იმპერატორის ნიკოლოზ მე-II-სა და იმპერატრიცასი, ღირებული ათ მანეთად; ერთი ათ მანეთიანი მაგიდა, მაგიდის საათი, შვიდ მანეთად ღირებული; ერთი 7 მანეთიანი განჯინა, ერთი ექვს მანეთიანი ლამპა და წიგნების საწყობი განჯინა, ორმოც მანეთად ღირებული. გასულ წელს სამკითხველოს მოსდიოდა შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „მოამბე“, „კვალი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ახალი მიმოხ.“, „ნივა“ და „როდინა“. წელს მოსდის: „კვალი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ახალი მიმოხილვა“, „ნივა“ და „საეკკლესიო უწყებანი“. დღეს სამკითხველოს ხუთი თუმანი ნაღდი ფული აქვს, რომლითაც მომავალი კრება საჭირო წიგნებს გამოიწერს. ვიღაც უცნობი კორესპონდენტი-კი „ცნ. ფურც.“-ს 603 №-ში ამტკიცებს—სამკითხველოსათვის არავინ ზრუნავსო. თუ არავინ ზრუნავს, მაშ ამდენი ქონება საიდან მიეცა სამკითხველოს! ბ-ნ კორესპონდენტის სიტყვით, სამკითხველო აქ დაარსებულა არა იმისათვის, რომ ვინმემ წიგნი წაიკითხოს, არამედ იმისათვის, რომ საზოგადოება დაამშვენოსო! ეს მხოლოდ კორესპონდენტის ფანტაზიაა, რადგან ვისაც დრო აქვს ყველა სარგებლობს სამკითხველოთი. არავითარი უწეს-რიგობა სამკითხველოში არ არსებობს, არც განჯინის კლიტე დაკარგულა; წიგნებითაც სარგებლობენ მსურველნი, რასაც ამტკიცებს გატანილი წიგნების რიცხვი, რომელიც აღნიშნულია სამკითხველოს დავთარში, საიდანაც სჩანს, რომ ამ ორი თვის განმავლობაში გატანილა 40 ცალამდე წიგნი. ვინც სამკითხველოში დადის, დღიურ გაზეთებსაც კითხულობს. ძველი ჟურნალ-გაზეთები მიაქვთ სახლში და კიდევაც აბრუნებენ. არც ის არის მართალი, ვითომ აქაური ვაჭრები საქონელს გაზეთის ფურცელში ახვევდნენ. მართალია, ჯერ-ჯერობით სამკითხველოს განსაზღვრული გამგე არა ჰყავს მიჩენილი, მარა ჯერ ამით სამკითხველოს არა დაშავებია-რა და ადრე მომავალში გამგეც გვეყოლება. „წევრები გაიფანტნენო“! მაშ სამკითხველოში ხომ არ ასახლებდით? საწევრო „ფული ორის მეტს არ შემოუტანიაო“—რატომ ათსა და ხუთმეტს არა აქვს შემოტანილი! გადაშალეთ შემოსავალ-გასავლის დავთრები ხაზინადარ იოსებ ჩიტაიშვილთან და ნათლად დაინახავთ, ვისაც რამდენი აქვს შემოტანილი და თუმცა ჯერ ყველას არ შემოუტანია, წლის დამლევამდის უსათუოდ შემოიტანენ, როგორც გასულ წელს მოიქცნენ. ჩვენს სამკითხველოს საზოგადოდ არა ჰყავს ისეთი წევრები, რომლებიც არ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

შემოქმედის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დროებითი გამგე მღვ. ხ. ჩხატარაიშვილი

* * * **ს. დიდინეძი** (სამეგრელო). კარგი ბოქაული. რაც ბ. მ. ავალიანი დაგვენიშნა ბოქაულად, მას აქეთ, ცოტა არ იყოს, თავისუფლათ ვითქვამთ სულს; შემცირდა ქურდ-ბაცაცობა, წარამარა ღვინის სმა და მაზე მოყოლებული ცემა-ტყეპა, ლეკურ-ხანჯლების ტრიალი, ნარდისა და ბანქოს განუწყვეტლივი თამაში გაიწმინდა თავად-აზნაურობა ხარჯის ფურცლის ძველი ვალებისაგან, „ოკლადის ნედოიმკისაგან" რომელიც დღიდან-დღე ემატებოდათ და რომლის გადახდა ბოლოს გაუძნელდებოდათ; ტკბილათ დაეძინა სოფლის სკოლების მასწავლებლებს, რადგან ჯამაგირს ათვის დროზე იღებენ, და სხ. არ არის ისეთი საზოგადოება მთელ საბოქაულოში, რომელსაც ბ. ავალიანის განკარგულებით სასიკეთო რამ არ შესძენოდეს.

— **უგზოობა.** ხსენებული საზოგადოება მიწის ნიადაგით, ხე-ტყით და პირუტყვის საბალახოებით არ არის ღარიბი, მაგრამ უბედურება მისი ის არის, რომ მცირეოდენი წვიმის დროს ადამიანი სახლიდან ველარ დაიძრევა, ისეთი წყალტალახი დადგება ერთად-ერთ ხუთ-ექვს სხვა საზოგადოებისათვისაც მეტათ საჭირო გზაზე (ეს გზა მიდის ალმ. ზუგდიდის ფართო გზამდე და დასავ. დაბ. ანაკლიამდე, საიდაც მიდის აქაურ მკვიდრთა ერთად-ერთი შემოსავლის წყარო— სიმინდი). რომ კვდებოდეს ვინმე წმინდა საიდუმლო ზიარების მისაღებათ მოძღვარს ვერ მოიყვანს კაცი. დიდათ პატივცემულ ბოქაულმა არც ეს ნაკლი დასტოვა უყურადღებოდ, მოისურვა გზის გაკეთება და კიდეც ეს არის დღეს თუ ხვალ ეღირსება საზოგადოებას რიგიანი გზა. იმედია ბ. ბოქაული სხვა საზოგადოების მუშებსაც დაახმარებს ჩვენს საზოგადოებას და მით უფრო საჩქაროდ გაგვიკეთებს გზას.

კოლონა

* * * **გურია.** სოფლების მდგომარეობა. საქართველოს სხვა კუთხეებზე რა მოგახსენოთ, ხოლო ისკი ცხადია, რომ გურიაში დიდათ შევიწროებულია ხალხი უმიწობის გამო. მოვიყვანოთ მაგალითი. სოფლები: ფარცხმა, გოგოლეის უბანი, ზემო ამაღლება და ქვემო ამაღლება მდებარეობენ მთის ძირად. ხსენებულს სოფლებში მცხოვრებ გლეხკაცობას (ოთხივე სოფელში 1,600 კომლი იქნება) არ მოეძევებათ არც ერთი ქცევა მერის მიწა, ამათს ავლა-დიდებას შეადგენს „მთა-ფრეწი" ადგილები, რომლის ქცევაზე ხუთი-ექვსი „გორიცა" სიმინდის მეტი არ მოვა, ხოლო ხშირად იმასაც დათვები შესჭამს, ან მძვინვარე ქარი დალეწავს და სხვა... ამასთან არა აქვთ საძოვარი ადგილები, საშეშე ტყე-კი კაი ხანია სახელმწიფოდ შეირიცხა, საიდანაც ერთი ღერი შეშის გამოტანაც არ შეუძლია გლეხსა. ამიტომაც არის, რომ აქაური გლეხი ენით გამოუთქმელს სიღატაკეში ლევს სულსა...

მიდით აქაურ გლეხის ოჯახში და ნახავთ, რა მდგომარეობაშიაც იმყოფება იგი. ზაფხულში შიმშილ-წყურვილით იხოცებიან, ზამთარში-კი სიცივით. ივანობისთვიდან აქაურ გლეხს მჭადი აღარა აქვს, ინდაური, ბატი, ქათამი და ოთხფეხი შინაური ცხოველებიც სუსტად ჰყავთ. ერთ აქაურ გლეხს დავეკითხე: ბესარიონ! რათ ცხოვრობთ ასე ღატაკად, რატომ არ გააშენებთ შინაურ ცხოველებს და არ ეცდებით ცოტა ადამიანურად იცხოვროთ, ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო სანოვაგე იქონიოთ-მეთქი? იმან მომიგო: „ვცდილობთ, შენიჭირიმე, განა არ ვცდილობთ? სულითა და გულით მოსურნე ვარ ვიშრომო, ვიმუყაითო, სახელმწიფო და სხვა მოთხოვნილება პირ-ნათლად გავისტუმრო, ბეჩავი ცხოვრება წინ წავწიო, მარა საიდან და როგორ, როცა გარემოება ხელს არ გვიწყობს? ამ სამი წლის წინად ათი სული ძროხები და ხარები მყავდა იმისთანაი, რომ თითო თითო შვილად ღირდა, ეზოში მყავდა დაჩაირებული, ყანიდან ვუზიდავდი გამოჰრილ სიმინდებსა და ბალახბულახებს და ისე წვა-დაგვით ვარჩენდი საქონელს (ყველანი ასე ვიქცევით); ერთი ზაფხული ავათ ვიყავი და ყველაყაი შიმშილით დამეხოცა. მას მერმე გული გამიტყდა, აღაფერი მწამს ჩვენი ცხოვრების, კარგათ ვიცი ჩემს სიცოცხლეში სიხარული არ მეღირსებაო"—მწარე ამოკვნესით დააბოლოვა მან...

ლ. ჩოხატაურელი

* * * **დ. სუჯუნა** (სამეგრელო). დაბის დაქვეითება და ძველი ეკკლესია. დ. სუჯუნა ამ რამდენიმე ხნის უკან პირველ დაბათ ითვლებოდა სამეგრელოში, იგი იმ დროს სიცოცხლის სავსე ახალგაზდა ჭაბუკივით მოძრაობდა. თვისი ვაჭრობა-აღებ-მიმცემობით არა თუ სამეგრელოს მკვიდრთ, არამედ გურულებსაც იზიდავდა, ხოლო ოცი აპრილიდან ოცდახუთამდე წმიდა გიორგის დღეობაზე აქ უთვალავი მლოცველები მოაწყდებოდნენ ხოლმე სამეგრელოს ყოველ კუთხიდან. მაშინ მლოცველი სულ სხვა გრძნობით იყო აღჭურვილი. ქალი ან კაცი ისე არ შევიდოდა ეკკლესიის გალავანში, რომ ერთი ღერი შინაური წმიდა სანთელი, ერთი აბაზი ფული და ერთი ყველიანი მჭადის კვერი არ შეეწირათ ეკკლესიისათვის. სულ ცოტა რომ ვთქვათ, სხვა-და-სხვა შემოწირულება ხუთ ფარდიან ურემს გაავსებდა ხოლმე. დღეს ეს ჩვეულება შესამჩნევად შემცირდა.

დ. სუჯუნის წმ. გიორგის ეკკლესია ერთ დროს ჭყონდიდელის საკათედრო ტაძარი იყო. მთელ შვიდ საზოგადოებას დღესაც „საჭყონდიდოს" ეძახიან, რადგან სანამ ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, ეს კუთხე ჭყონდიდელის ხელში იყო, რომელიც აქ მებატონედ ითვლებოდა. როდესაც ბატონ-ყმობა გადავარდა, ზემოხსენებული სოფლები სახაზინოთ იქნა ჩარიცხული. მას უკან დ. სუჯუნას საქმე უკან-უკან წავიდა და დღეს მას თითქო სიცოცხლის ძაფიც კი შესწყვეტია; საღათას ძილს მოუცავს მისი ოდესმე ნაქები არე-მარე. აქ თქვენ ხედავთ, სხვათა შორის, სახურავ-ჩანგრეულ დუქნებს, რომლებიც მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენენ. მხოლოდ ძველის-ძველი, თეთრი ქვით ნაშენი წმ. გიორგის ეკკლესია და მისი სამრეკლო მოგაგონებთ ამ არე-მარის წასულ დიდებას და სამწუხარო ის არის, რომ ეს დიდებული ნაშთიც უყურადღებოდ არის მიგდებული. ეკკლესიას სახურავი არ აქვს და გაპარტახებულია, წვიმა თავისუფლათ რეცხავს შიგნით კედლებს რომლებიც ხავსით არის შემოსილი. დროა ეკკლესიას ყურადღება მივაქციოთ. საჭყონდიდო ოთხი ათას კომლზე მეტ მცხოვრებთ შეიცავს და ამდენი ხალხისათვის ძნელი არ არის ეკკლესიის განახლება.

ანდრო უჩანეიშვილი

# თეატრის მატიანე

**დ. აბაშა.** ქართული წარმოდგენა. 6 სექტემბერს ქუთაისის დრამატიული დასის ამხანაგობა ეწვია ჩვენს დაბას და გამართა ორი წარმოდგენა; თუმცა სულ კარგი დრო იყო არჩეული 6 და 8 სექტემბერი, ამ დღეებში აქ მთელი სამეგრელოდან დიდძალი ხალხი იკრიბება, მაგრამ დიდი წვიმების და გაუვალი გზების გამო პირველ წარმოდგენას ცოტა ხალხი დაესწრო; პირველად წარმოადგინეს „ქართრველი დედა" ისტორიული დრამა 4 მოქ. ა. ცაგარლისა და ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ოიმბაზი" იმისივე, უმთავრეს როლებს ასრულებდნენ: ქ. ივანიძე, ბბ. ჩარკვიანი და ბალანჩივაძე; საუცხოვო იყო ქ. ივანიძე, მარინე თამაზ-მოურავის ქვრივის როლში; კარგათ ასრულებდა ორ როლს: პაპუა, მარინეს უფროსი შვილის და უსუფ-ფაშას როლებს ბ. ბალანჩივაძე; ბ. ჩარკვიანი ასრულებდა მარინეს უნცროსი შვილის, ვახტანგის როლს; ამ ახალგაზდა მსახიობის თამაშობისათვის ქუთაისშიაც გვიყურებია, ნიჭიერია და მასთან გარეგნული შესახედაობა და მშვენიერი ხმა ხელს უწყობს; ვახტანგის როლი შეასრულა შეუდარებლად და ამიტომაც დაჯილდოვებულ იქმნა განუწყვეტელი ვაშას ძახილით და ტაშის კვრით. მეორე წარმოდგენისათვის დანიშნული იყო კომედია და ვოდევილი, მაგრამ მთელმა საზოგადოებამ მიმართა მსახიობებს თხოვნით, რომ გაემეორებინათ ესევ ეს პიესა „ქართველი დედა", რომელი თხოვნაც შესრულებულ იქმნა, თუმცა გზები კიდევ არ იყო გამშრალი და შეიძლებოდა მხოლოდ ცხენით მიმოსვლა, მაგრამ ამ მეორე წარმოდგენას დიდძალი ხალხი მოაწყდა.

რაც შეეხება წვრიმალ როლების ამსრულებელთ, გარდა ფაშის ასულის, ლეილას როლისა, გვარიანი იყვნენ; მხოლოდ ლეილა ვერ იყო კარგი, ეტყობოდა, რომ ქუთაისის სცენის მშვენიერი ლეილა არ ერია ამ დასში რაღაც გარემოების მიზეზით.

წარმოდგენის შემდეგ ყველამ ერთხმათ ღირსეულთ მსახიობებს მადლობა გამოუცხადეს და სთხოვეს კიდევ გვაჩვენეთ თქვენი კარგი თამაშობაო.

ბ. გ.

# სამეცნიერო ცნობა

## მასალა ქართული ბოტანიკისთვის *)

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

ყვავილთა წყობა (соцвѣтіе)

არიან ისეთი მცენარენი, რომელნიც ერთი წლის განმავლობაში ღვივდებიან (прозябаніе), შემდეგ იზრდებიან, ბოლოს ყვავიან, იძლევიან ნაყოფს და თესლს; თესლის მოცემის შემდეგ მცენარე იმავე წელსვე კვდება,—ასეთ მცენარეებს ერთ-წლოვან მცენარეებს უწოდებენ. მაგ. ქერი, ხორბალი (пщеница) და სხვა. არიან ისეთი მცენარენი, რომელნიც ღვივდებიან, იზრდებიან ერთი წლის განმავლობაში, მხოლოდ ამავე წელსვე არა ჰყვავიან და არც ნაყოფს და თესლებს იძლევიან; მხოლოდ მეორე წელს ყვავიან და ამავ წელსვე კვდებიან; ასეთ მცენარეებს ორ-წლოვან მცენარეებს უწოდებენ. მაგ. ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტო და სხვ.

ხეების აყვავებამდის რამდენიმე წელიწადი გადის; შემდეგ დგება დრო, როცა მცენარე ყვავილს ისხამს და ნაყოფს და თესლს იძლევა; ხე ჰასაკში შედის, ესე იგი, მრავალ ნაყოფს და

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 628.

თესლს იძლევა,—ამის შემდეგ ხე ან ყოველ წელს ყვავის, თუ ფართო ადგილზე დგას, ან თუ ტყეშია—მაშინ ყოველ წელს არ ყვავის: ხან სამი, ხან ოთხი და ხან ხუთი ექვსი წლის განმავლობის შემდეგ აყვავდება ხოლმე მთელი ტყე, ერთი სიტყვით, დროგამოშვებით ყვავიან მცენარები ტყეში. იმ წელს, როცა მცენარეები—ხეები ტყეში ყვავიან, უწოდებენ თესლიან წელიწადს (СѢМЯННОЙ ГОДЪ). ყვავილები მცენარეზე ყოველთვის ერთ წლოვან ღეროზე სხედან. იმ ღეროს, რომელზედაც ყვავილები სხედან, უწოდებენ საყვავილო ღეროს (ЦВѢТОЧНАЯ ОСЬ); ამ საყვავილო ღეროზე სხედან ყვავილ ფეხსები. თუ ყვავილ-ღერო ხრულებით არ იძლევა შტოებს ანზედ ყვავილ ღეროზე სხედან ყვავილ ფეხსები, მაშინ ასეთ ყვავილ-წყობას უწოდებენ მარტივს; თუ ყვავილ-ღერო იძლევა შტოებს, რომლებზედაც ყვავილ ფეხსები სხედან—მაშინ ასეთ ყვავილ წყობას უწოდებენ რთულს.

მტევანი—თუ ყვავილები ყვავილ ღეროზე სხედან იმ გვარად, რომ მათი ყვავილ-ფეხსები ერთი და იმავე სიგძისანი არიან, მაშინ ასეთ ყვავილ-წყობას უწოდებენ მარტივ მტევანს; თუ ყვავილები ერთი და იმავე სიგძის ყვავილ ფეხსებით სხედან მეორე ან მესამე ყვავილ-ღეროზე, მაშინ ასეთ ყვავილ წყობას უწოდებენ რთულ მტევანს. თუ ყვავილ ღეროზე ყვავილები ძლიერ მოკლე ყვავილ ფეხსებით სხედან,—მაშინ ასეთ ყვავილ-წყობას (СОЦВѢТІЕ) უწოდებენ თავ-თავს (КОЛОСЪ); თუ პირველ ყვავილ-ღეროზე სხედან ყვავილები, მაშინ იქნება მარტივი თავ-თავი; თუ მეორე ანუ მესამე ყვავილ-ღეროზე, მაშინ იქნება რთული თავ-თავი (СЛОЖНЫЙ КОЛОСЪ), მაგ. პურის თავ-თავი. თუ ყვავილ-ღერო ძლიერ სქელია, მაშინ ასეთ ყვავილ-წყობას უწოდებენ ტაროს (ПОЧАТОКЪ).

ფ ა რ ი (ЩИТОКЪ). არის მტევანი, რომელსაც მხოლოდ ქვევითა ყვავილ-ფეხსები გძლები აქვს, ვიდრე ზემოთი და ამიტომ ყვავილები თითქო ერთ სიფრიფანაზე (ПЛОСКОСТЬ) სხედანო, ესე იგი ერთი და იმავე სიმაღლისანი არიან.

ქ ო ლ გ ა (ЗОНТИКЪ) არის ისეთი ყვავილ-წყობა, რომელსაც ყვავილ-ფეხსები ერთი და იმავე სიგძისანი აქვს და ეს ყვავილ ფეხსები ერთსა და იმავე ადგილას არიან მიბმულნი ყვავილ-ღეროზე; პირველი შეხედვით წარმოგვიდგენს დია ქოლგას.

ც ო ც ხ ა (МЕТЕЛКА) თუ რომ ქვევითა ყვავილ ფეხსები გძელებია ზევითაზე, ასე რომ მთელი ყვავილ წყობა ქვევით განიერია და ზევით ვიწროა, მაშინ ასეთ ყვავილ წყობას უწოდებენ ცოცხას.

თ ა ვ ი. (ГОЛОВКА) ყვავილღეროზე თუ ყვავილები ერთ ადგილას სხედან მოკლე ყვავილ ფეხსებზე, მაშინ ასეთ ყვავილ წყობას უწოდებენ თავს,

კალათა (КОРЗИНКА). ეს ყვავილ წყობა განირჩევა თავიდან მით, რომ აქ ყვავილ საჯდომი თეფშსავით გაგანიერებულია, რომელზედაც ყვავილები სხედან, მაგ. მზისუმზირე (ПОДСОЛНЕЧНИКЪ).

მ. ზაალიშვილი

(შემდეგი იქნება)

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

**ავსტრიის დედოფლის მოკვლა.** მკითხველს გაგებული ექნება დეპეშებიდან, რომ ამ ორიოდე კვირის წინად ერთმა ანარქისტმა ლუჯიო ლუკკენიმ სადგისით მოჰკლა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში ავსტრიის დედოფალი ელისაბედი. დედოფალი იმყოფებოდა შვეიცარიაში ფარულად, არა ოფიციალურად და მოკლულ იქმნა სწორედ იმ დროს, როცა გემზე მიდიოდა ერთ მხლებელ ქალთან ერთად, შვეიცარიიდან გასამგზავრებლად. ის იყო დედოფალი გემს მიუახლოვდა, როცა მას უკანიდან მიეპარა ბოროტ-გამზრახველი, დაჰკრა ზურგში სადგისი და მოჰკურცხლა. იმპერატრიცა ორი-სამი საათის შემდეგ გარდაიცვალა. თუმცა მკვლელი ბოროტ-მოქმედების ჩადენისთანავე გაიქცა და დააპირა დამალვა, მაგრამ იგი შეიპყრეს მეეტლეებმა, რომლებმაც მკვლელობა თავიანთის თვალით დაინახეს და დაედევნენ მკვლელს.

ლუკენი არის იტალიელი, მაგრამ პატარაობიდანვე აღზრდილია საფრანგეთში. ხელობით მუშა კაცია და ცნობილია, როგორც ანარქისტი. ბოლოს დროს ის ქვის მუშად იყო ქ. ლოზანაში. ამ ქალაქიდან ის წავიდა ჟენევაში იმ გადაწყვეტილებით, რომ იქ მოეკლა ორლეანის ერცჰერცოგი, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი აქ აღარ დახვდა, გადასწყვიტა ავსტრიის დედოფლის მოკვლა. ლუკენიმ განაცხადა, მე აზრებით, თუმცა შეუგნებლად, ყოველთვის ანარქისტი ვიყავიო. არაფერი მაქვს მუშების წინაალმდეგ და ვიბრძვი შეძლებულ ხალხის მოსასპობადაო. თუმცა დედოფლის მოკვლით მიზანს-კი ვერ მივახწევ, მაგრამ ამით სხვებს მაგალითს ვუჩვენებო.

ლუკენი დედოფლის მოკვლის შემდეგ მხიარულად არის. როცა იგი შეპყრობილი მიჰყავდათ, არხეინად მღეროდა და თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა. ზოგიერთებმა ეჭვი შეიტანეს მის სიჭკვიანეზე და დაიწყეს გაზეთებში მტკიცება, ლუკენი სულით ავადმყოფიაო; ამის გამო ლუკენიმ ერთ გაზეთში წერილი დაბეჭდა, რომელშიაც თავის-თავს შეურაცყოფილად აღიარებს და სთხოვს გაზეთის რედაქტორს, წინაალმდეგობა გაუწიეთ ჩემ შეურაცხმყოფელთაო. ეს წერილი თურმე ჭკვიანურად არის დაწერილი და აზრების მიმდინარეობა შიგ წესიერია.

სასამართლოს გამომძიებელმა ჰკითხა ლუკენის: როგორ მოიქცევით, რომ შეგეძლოთ იტალიის მეფის ჰუმბერტოს ან კრისპის მოკვლაო? ამაზე ლუკენიმ უპასუხა: მეფეს მე სიამოვნებით მოვკლავ, მაგრამ კრისპის-კი—არაფრის გულისათვისაო. ღმერთმა დამიფაროს! კრისპი ქურდია. მან მოიპარა 500 ათასი ლირი. მის ადგილზე მე კიდევ უფრო ბევრს მოვიპარავდიო. ქურდის წინ ქუდი უნდა მოვიხადო. ქურდს მე არა ვკლავო. ამ ლაპარაკის დროს ლუკენი იცინოდა.

ლუკენის საქციელით ყველა სახელმწიფოები აღშფოთებულია და ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ერთმანეთში იმის შესახებ, რომ მოხდეს საერთაშორისო თანხმობა ანარქისტებთან საბრძოლველად.

თუ რა სასჯელს მიანიჭებენ ლუკენის, ჯერ არ იციან. თუ იგი შვეიცარიის კანონების მიხედვით გაასამართლეს, არ დასჯიან სიკვდილით, რადგან ასეთი სასჯელი უარ-ყოფილია შვეიცარიის კანონმდებლობისაგან, შვეიცარიის სასამართლო მიუსჯის ლუკენის მხოლოდ საუკუნოდ დატუსაღებას, მაგრამ საფიქრებელია, რომ ლუკენის იტალიის, მისი სამშობლოს, კანონებით გაასამართლებენ და მაშინ მას არ ასცდება სიკვდილით დასჯა.

საყურადღებოა, სხვათა შორის, ისიც, რომ ავსტრიის დედოფალი ელისაბედი მეტად უწყინარი ქალი იყო, მას პოლიტიკაში თითქმის არასოდეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, თავისთვის ცხოვრებდა, რასაკვირველია, არც ანარქისტებისათვის არა დაუშავებია და მიუხედავად ამისა იგი შეიქნა ანარქიზმის მსხვერპლი. ეს იმით აიხსნება, რომ ანარქისტებისათვის სულ ერთია, რომელ დიდებულ კაცს მოჰკლავენ, ოღონდ დიდებული და შეძლებული კაცი კი იყოს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი მოქმედებით მოსპობენ სიმდიდრე-სიღარიბეს და დაამყარებენ თანასწორობას.

### ყურმოკრული საუბარი

—

მატარებელში. კანტროლერი ეკითხება ობერ-კონდუქტორს:

— გულზე ხელი დაიდევი და მართალი მითხარი; საქმეს არ შეგიყენებ თუ გამოტყდები: დაგყავს თუ არა უბილეთოები, ანუ თქვენებურად „ბრუციანები“?

— დამყავს.

— დღესაც მოგყავს?

— დღესაც მომყავს.

გაჩხრიკა კანტროლერმა მთელი მატარებელი, მაგრამ ვერსად „ბრუციანი“ ვერ აღმოაჩინა. ყველა მგზავრებს ბილეთი ჰქონდა. ბოლოს მიუბრუნდება ისევ ობერს.

— აკი „ბრუციანები“ მომყავსო? შენ მე მომატყუე!

— არა, ბატონო, არ მომიტყუებიხარ! აგერ „ბრუციანი“ თქვენ წინაო!— მიუგო ობერმა და მიუთითა იმ კონდუქტორზე, რომელიც კანტროლერს ფარანს უნათებდა ბილეთების სინჯვის დროს.

კონტრელერის წინ მართლაც „ბრუციანი“ (უბილეთო მგზავრი) იდგა, რომელიც კონდუქტორულად გამოეწყოთ და ხელში ფარანი მიეცათ კონტროლერის გასაყოლად.

კონტროლერმა მხრები-და აიჩეჩა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 სექტემბერი

**რომი.** „Italie“ იუწყება, რომ დიდმა სახელმწიფოებმა დაადგინეს შეიკრიბნენ ოქტომბერში საერთა-შორისო კონგრესზე და შეიღონ საშუალებანი ანარქისტთა არა მარტო ბოროტ-განზრახვის წინაალმდეგ, არამედ ხელი შეუშალონ იმათის მოძღვრების გავრცელებას ქარხნებში.

**პარიზი.** პიკარი სონტეს საპატიმროდან შერიშ-მიდის საპატიმროში გადიყვანეს.

**კანეა.** პოლკოვნიკმა ჩერისაილმა მოახსენა ადმირალებს საგანგებო სასამართლო დავაარსოთ სმირნაში, რომელმაც უნდა გაასამართლოს კანდიის მეამბოხენიო.

**სტამბოლი.** აქამდე ინგლისელებს გადასცეს 76 კაცი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კანდიაში მომხდარ უწესოებაში. ოსმალეთი თხოულობს—დამნაშავენი ტრიპოლს გადაასახლეთ და იარაღი ქრისტიანებსაც ჩამოართვითო. კანდიაში მაჰმადიანებისაგან იარაღის ჩამორთმევა მშვიდობიანად სწარმოებს.

**პარიზი** „Journal“ იუწყება, რომ მთავრობამ გადასწყვიტა მარშანს მისაშველებელი ჯარი გაუგზავნოს.

ნ ი ს ხ ი,

დამტკიცებული 12 აგვისტოს

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი 1 ხარისხ. | | 7 | კ. |
| სუკი გირვანქა | „ „ | 12 | კ. |
| ცხვრის ხორცი | „ „ | 8 | კ. |